

ო ქ მ ი № 3

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (თავ-რე), რ. ბანცური, მ. ელიაშვილი, ს. ინასარიძე, ვ. კოკილაშვილი, მ. მანია, ს. სანებლიძე, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, მ. ჯიბლაძე, ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე;

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: ლ. გოგოლაური;

ინსტიტუტის დირექტორობის კანდიდატები: ნინო ფარცვანია და შადიმან ხელაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის არჩევნები.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ დირექტორის არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილია კონკურსის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ოთარ ჯოხაძე, ოთარ ჭკადუა და მაია კვინიკაძე.

თ. ქადეიშვილმა სიტყვა გადასცა ო. ჯოხაძეს.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს: დირექტორის არჩევნების კონკურსის სამდივნოს წევრის ოთარ ჯოხაძის გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს წარუდგინა ინსტიტუტის დირექტორობის რეგისტრირებულ კანდიდატთა ნუსხა:

1. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი **ნინო ფარცვანია;**
2. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი **შადიმან ხელაძე.**

მ თ ი ს მ ი ნ ე ს: ინსტიტუტის დირექტორობის კანდიდატის შ. ხელაძის გამოსვლა, რომელმაც გააკეთა განცხადება (განცხადება ოქმს თან ერთვის), რომლითაც იგი მოითხოვდა არჩევნების გადადებას 2 კვირით მაინც.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ შ. ხელაძის შენიშვნები უსაფუძვლოა, სამეცნიერო საბჭომ თავის წინა სხდომაზე იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ დირექტორობის კანდიდატებისათვის არ წაეყენებინა დამატებითი მოთხოვნები და შემოიფარგლა იმ მოთხოვნებით, რომლებიც ინსტიტუტის წესდების მე-10 მუხლის პირველ პუნქტშია ჩამოყალიბებული. სამეცნიერო საბჭომ დამატებითი ბარიერები არ შეუქმნა დირექტორობის კანდიდატებს და უფრო მეტ პიროვნებას მისცა საშუალება წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : სამეცნიერო საბჭოს წევრის ვ. კოკილაშვილის გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ ინსტიტუტის წესდების თანახმად ინსტიტუტის დირექტორს ირჩევს სამეცნიერო საბჭო და დირექტორობის კანდიდატებმა თავიანთი სამოქმედო პროგრამა უნდა წარუდგინონ სამეცნიერო საბჭოს. ამიტომ ასევე უსაფუძვლოა შ. ხელაძის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ არჩევნებამდე 2 კვირით ადრე დირექტორობის კანდიდატებს გამოეკრათ თავიანთი სამოქმედო პროგრამები ინსტიტუტის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

დაადგინეს: არ დაკმაყოფილდეს დირექტორობის კანდიდატის შ. ხელაძის განცხადება და მოთხოვნა ინსტიტუტის დირექტორის არჩევნების ორი კვირით გადადების შესახებ და გაგრძელდეს დირექტორობის კანდიდატურების განხილვა.

მოისმინეს: დირექტორობის კანდიდატის შ. ხელაძის გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, რომ ის არ წარმოადგენს სამოქმედო პროგრამას და ხსნის თავის კანდიდატურას.

მოისმინეს: დირექტორობის კანდიდატის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა თავისი სამოქმედო პროგრამა (პროგრამა ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: თ. ქაღვიშვილის, ვ. კოკილაშვილის, მ. ელიაშვილის და ს. სანებლიძის გამოსვლები, რომლებმაც დადებითად შეაფასეს ნ. ფარცვანიას მუშაობა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე, აღნიშნეს მისი მონდობა და შრომისმოყვარეობა, იმედი გამოთქვეს, რომ იგი, სამეცნიერო საბჭოსა და ინსტიტუტის მთელ კოლექტივთან ერთად, შეძლებს ინსტიტუტის წინაშე მდგომი რთული პრობლემების წარმატებით გადაწყვეტას.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. არჩეულ იქნა ხმის დამთვლელი კომისია შემადგენლობით: ო. ჯოხაძე (თავ-რე), ო. ჭკადუა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა (ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი № 1, რომელიც სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაამტკიცა, ამ ოქმს თან ერთვის).

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე ერთხმად ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორად 4 წლის ვადით არჩეულ იქნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნინო ფარცვანია.

სხდომის თავმჯდომარე

თ. ქაღვიშვილი

სხდომის მდივანი

ლ. გოგოლაური